



ლახტი



№ 9

კვირა, 4 მაისი.

ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифльсь. Мухранская 12, для журнала „ЛАХТИ“.

ფასი 5 კაპ.

№ 9



ჰეონი თავს იკლავს ანტიგონის გვამთან. — სურათი გემარდისა.

ფე რ ი ლ ი

(მავთრკამიჩიღან)

ვნების ტაღლებათ ჭიფოქადა ღამე...
 უცხო თრთოფეთათ მთელ ვაკსებოდა,
 მწეურდა გიჟურად ბუღნიერება,
 საკმელს მიმდგარა გულადობდა.
 ჩვენი ოთახი წაღკოტათ მოერთე,
 მთელის ოცნებით შენსკენ ვიღტვოდი,
 წამი მიმჩნდა მთელს საუკუნედ.
 არ მოხველ, თუმც სულ გულადობდა.
 ღია ფანჯრიდან მოსჩინდა ვარდი,
 მთვარის მკრთაფს შუქზე ბღს ჩასძინოდა
 ნელად ჭკრთებოდნენ ღამის ჩრდილები, —
 იმედით თვალი შენსკენ ვაღადა.
 ვით შენი კოცნა, აგრევე მწეაგა
 ღამის ჭყერა ჩემს სულს უფლობდა,
 მე შენ გულადი, არ მოდიოდა,
 ადევლებულს თვალს ძილი უერთოდა.
 უცხად ბუღბუღმა არეს დასტვინა,
 მიბნადა ღამე იღუმელ ქმნილი,
 და ამ ბუღბუღის ციურმა ხმებმა
 გულს საიდუმლო აღძრეს ძახალი.
 ის ხმა მიწვევდა იქ, სად ნეტარი
 ცას შეჭქათქათებს ბუღნიერება,
 არ შეგხვება ჯერ მის სიწმინდეს
 ბორბოტი ხელი და ცბიერება.
 იმ ხმამ ჩამკვრესა გუფის სიდრეშა,
 რომ ჩემი ტრფობა და თავჯანება
 უძინი ვენკლთა, ანარაობა,
 ავადმყოფური ბავშვის ოცნება.
 იმ ხმამ მცნობა, ბუღნიერება
 არ არის მსაფლად სატრფოს სინაზე.
 ჩქარა გაიფლის, რაკორც ზღანარი,
 ტრფობა, აფრსი და სიღამაზე,
 რომ არის რადაც უფრო ღიადი,
 იმით ეს ღამეც იყო ადვსიდი,
 შავ სიწმინდეს, სრულ-სისხარული
 მასში ჩართული და ჩაქსოვილი.
 ამ ღამემ კვლე გულს ჩამასახა ..
 და ცრემლ-ღვრით თავი მივეცი ფიქრსა,
 და აი ესლა გეტრევიტ გულ-ანდიოთ:
 თქვენ არ ხართ ჩემთვის, და მე თქვენთვის,
 ტრფობა არ არის ვნება კოცნასა,
 სხვა გვარ სიუვარულს კი ვერ მომცემდიოთ.
 ოხ, რაკორც გმადლობთ, რომ ჩემს ძახილზე
 იმ ღამეს ჩემთან თქვენ არ მოხვედით
 გ. ნამორაძე.

და ნუ გიკვირთ

აი ნახეთ თუ რა არი
ნახეთ მისი აი მზერა,

და ნუ გიკვირთ თუ მან გული
 მე ამ რიგად ამიღერა!
 აი ნახეთ როგორ მიმზერს!
 დახეთმის თვალს, როგორ ღვევის,
 სახე მისი თინათინობს
 ვით აღმასი დილის სხივის.
 აი კიდევ... აი კიდევ
 მან შემახო თავს ხელი,
 და ნუ გიკვირს—დამეთხოვე! —
 მიტოვებას ნულარ ელი!
 მოდი ჩემთან, მოდი, სატრფოვ,
 ვინ დამიშლის გეთაყვანო,
 აწი უნდა—ამ დღის შემდეგ—
 შენს სინაზეს ვეთაყვანო!
 მოდი ახლოს... მოდი ახლოს,
 გამიყარე თვალში თვალი,
 ხელი მომეც—გამაღვიძე —
 გამაღვიძე, გიჟი—მთვრალი!
 მეც გამხადე შენებურად
 ასე ნახი ერთობ სრული,
 სიყვარულის მოჭიკჭიკე
 კმაყოფილი—მხიარული!

ი. მამავალიშვილი.

ტყე უ ი

(გაზაფხულის ჰარმონია)

ზამთრის ბნელ, სუსხიან ღამის
 შემდეგ დადგა დილა ტურთა გაზა-
 ფხულისა. ყველაფერი ჰყვავის ..
 იღვიძებს ტყე, იღიმება ბუნება.
 — სსსს!.. შრრრ!.. — სისინებს ნი-
 ავი და აშრიალებს ფოთლებს.
 — ლიკ-ლიკ!.. ლიკ-ლიკ!.. — ლი-
 კლიკებს ნაკადული და ბალახებ-
 შორის მიიკლაკნება.
 — ჭყივ-ჭყივ!.. ჭყივ-ჭყივ!.. —
 ჭრიამულობენ ბელურები.
 — ტიავ-ტიავ! ტიავ-ტიავ!.. — გა-
 ლობინ ბუღბუღნი.
 — ტია-ტა ტა! მიუ-ტა-ტა, მიუ!..
 — უსტვენენ იაღონნი.
 — ჭახ-ჭახ! ჭახ-ჭახ!.. — ჭახჭახე-
 ბენ კაქკაქნი.
 — კაკ კაკ! კაკ-კუკ!.. — აკაკუ-
 ნებენ კოდალები.
 — ყვი!.. ყვი!! — ცქმუტუნებენ
 ბუჩქების ძირას ახლად თვალ-გახე-
 ლილნი კურდღელნი და სძოვენ
 ბალახს.
 — ფრუტ!.. ფრუტუტ!.. — ფრუტუ-
 ნებენ თავ-მომწონე ღამაზი ჯიხვ-

ირემნი მწვერვალოზე გადომდგარ-
 ნი და გულ-მკერდ გაღელილები ხა-
 რბად ეწაფებიან გაზაფხულის გრილ
 ნიავს...
 ყვავილებს დაჰფარდა ებენ ჭრე-
 ლი უქმი პეპლები და ატყვევებენ
 მყურებო ის თვალს.
 — ბზზზ... ბზზზუუ!.. — ბზზიან ფუ-
 ტკრები და ეძებენ საყვარელ, ტკბილ
 მკენარეებს, რომ იქიდან ამოწეწ-
 ვილ წვენით შეაზავონ სიტკბოება!..
 და სანთელი ბნელში შუქ-მომფენი.
 — ღღღ!.. ღღღუუ!.. — ღღღუნე-
 ბენ მტრედები და ჰკოცნიან ერთმა-
 მანეთს, ულოცავენ გაზაფხულს.
 — გუ-გუ!.. გუ-გუ!.. — ხარობენ
 გუგლნი.
 — ჭრუ! ჭრუ! ჭრუუ! — ტიკ-
 ტიკებენ ჯაფარები.
 — ტიკ-ტიკ! ტიკ-ტიკ!.. — ტიკტიკე-
 ბენ მოუსვენარი, სიცოცხლით სავ-
 სე, გაზაფხულის მახარობელნი მერ-
 ცხალნი.
 — ტივუქ ტუქ, ტი-ტი, ტუ!.. —
 ჰკვენისის საამურად თვალ-დანაბუ-
 ლი ნიბლია.
 — ჭრუ! ჭა-ჭა! ჭრუუ—ჭა-
 ჭრუუ!.. — ჯღურტულაობენ გაზა-
 ფხულის წინა-მორბედნი, შოშაები.
 ნარ-ჩიტა ხიდან ხეზე ხტუნავს და
 ჯღურტულებს. წანწყალა ნაკვლევეზე
 ბოლოს ათამაშებს. მწყერი ახოსა-
 კენ ემზადება საბუღრად. წერო სა-
 მბრეთით მოფრენილი ტყეს ამწვა-
 ნებულს ზე დასტრიალებს. გედი
 ეთერში თამამად მიმოსრიალებს. წი-
 ფელზე მჯღარ ფარშევანგს ჭრელი
 თვალ-თვალა შესამოსით მარაო ბო-
 ლო გადაუშლია. გვრიტი შემომჯღ-
 არა არყზე და განაბულა. კაკაბი
 ცაცხვზე მონარნარეობს. ღაბუა ხო-
 ხობი რცხილის ტოტიდან ტოტზე
 ხტუნაობს. შროშანი ჩხიკვს არ უს-
 ვენებს და უკარნახებს მოუსვენრო-
 ბას. ტოროლა, ღამის მეხრის მამა-
 ლი და შიკრიკი განთიადის მოახ-
 ლოვების ცაში ნავარდობს. და ესე
 ყველანი ეძლევიან სიამოვნებას შეხ-
 მატკბილებულს.
 პატარა ია ყურ და ცქვეტილია
 და კეკლუცობს. ენძელა ეჯიბრება



მას, გვირილა იცინის, ღილილო თვალებს იფშენეტს, ნარგვი სიამოვნებით იზმორება. შრომანა გაშტერებული იცქირება, ზამბახი კას შეპყურებს, იასამანი ვერ მიზხვდარა რაშია საქმე, ყაყაჩო თავს იქნევს, ლენცოფაც სცდილობს ამათ შეუერთდეს. ნაცარ ქათამა უკან ატუზულა, ქრისტეს პერანგი სათნოებით ირხევა. მრავალ-ძარღვა ზანტად იმზირება, სამყურა და იონჯა შურით შესცქერიან... სუმბული კდემამოსილობს. მიხაკი მბაძველობს... ვარდი-კა მოაშიყეთ იწვევს საკოცნელად და თვით ტურფა, ეძებს სატრფოს, მოელის მას, რომელიც შორით სწვავს მას ტრფიალების ალით...
 ნიავისაგან მიმორხეულნი ჩურჩულებენ... ნეტარობენ...
 — მიკიკიკი!.. მიკიკიკი!.. — კიკინებენ თიკნები და ჰკიკნიან ნეკერს
 — მეე... მეეეე!.. — ბღავიან ბატკნები და შექცევიან მობიხე ბალახს.
 — ღიუ, ღი-ტა-ტა! ღიტ-ტა!.. — აკვნესებს სალაშურსფერდობზე მხართემოზე წაშოწოლილი მწყენსი და სტებება ბუნების სიღამაზით... თავისუფლად სუნთქავს... ივიწყებს ყოველივე ჭირ-ვარამს და დაპტრინავს უხილავ სამეფოში...
 საერთო, შეხმატებილებულ ტყის ჟრიამულს ლაევარდი ცისა კამარა მხიარულად დაჰყურებს... მზე გამოცოცხლებული სხივებს აქსოვს არემარეს და უკვდავების ნექტარს სთავაზობს რთვილისაგან დაზრულს.
 სიამოვნებენ კმაყოფილნი არსნი...
 შორით, ტყის გადაკარგულ მხარეებიდან ისმის გამოძახილი ტყის პირმშო შეილთა.
 სალ-პიტალო კლდის კენწეროზე ზის ონავარი ორბი და აბრიალებს ცეცხლის-მფრქვევ თვალებს. მას არც სიამოვნება ეტყობა და არც წუხილი... მის მახლობლად კამარას ჰკრავენ ალალი და შევარდენი.
 —
 სიამოვნება-სიყვარულს საშინელი ღრიანცელი, ურვა-გოდება-შუ-

რი წამოეპარა: ცის ტატნობს ღრუბელი გადაეფარა, მოპირ-ქუშდა. გრრუმ!.. გრუმ—გრრრუმ!.. — ჰქლხს და გრგვინავს, ელვის ისრები იკლავნიან, გრიალებს სამყარო.
 — შშშშ!.. — წვიმა მოდის... ტყის ნისლი ეკვრის...
 — ხხხხ!.. — ხრიალებს სეტყვა და ნაცემი დღიდა-მიწაზე და ნიაღვრად ქცეული ფლატე-ხევ-ხევში გადახრიალებს.
 — უუუ!.. უო-უუუ!.. — ღმუიან ნადირნი.
 — ქუუტ! ქუუტ!.. — გაჰკივიან შოტნი.
 — ყვაა! ყვაა!.. — ჩხავიან ყვავები.
 — სისი—სსსსი!.. — სისინებენ გველები და ბაოახებში დასრი-ლებენ.
 — ყი-ყი! ყი ყი!.. კრრრრ!.. — ყიყინებენ ბაყაყები აშმორებულ ტბაში... ხევში... ხავსებში...
 — უუუჰ!.. გრრრჰჰ!.. — ხენგის ბორბოტი ქარიშხალი და ამხვრევს ხეხილებს...
 — ღამუ—ღამ!.. ღამ!.. — იყეფება მურია და აფრთხილებს ბუნების სიმშვენიერით გაბრუებულ პატრონს.
 — ჩიიი—უო—ჩი—ჰოო!.. — გამოუხიზლებული მწყენსი აგროვებს გაფანტულ სამწყსოს და ფარებისაკენ ერეკება; მას არ აშინებს დროებითი შეცვლა ბუნებისა. იმღლი აქვს, რომ ზაფხული ჯერ წინა დევს, ის მოვა და სამწყსოს კვლავ გამოშლის მოსალხენად.
 შორს ღრუბლებში მზე მაინც მოსჩანს...

ბ. ვრთაწმინდელი.

მეავ, გაილია...

ზუზუნებს ქარი,
 გულშესაზარი,
 ძრწის მთა და ბარი,
 ჰყინავს და სუსხავს,
 ირგვლივ ყოველსა,
 მწუხრსა, მგლოველსა
 ნორჩ მინდორ-ველსა
 ცა ნამს არ უხხავს.
 —
 მზე არ ანათებს,
 არა კაშკაშებს,

არცა ქახქახებს
 ვარსკვლავთა კრება.
 მთვარე ავადმყოფს
 გავს ბნელში ნამყოფს,
 ოღნავ თავსა ჰყოფს
 და ისევ ჰქრება...

—
 მზევ, გაილიმე,
 შავ-ბინდი მძიმე
 ააციმციმე,
 მშვიდობა ჰპოვე.
 კვლავ გაზაფხული,
 ცვარ-ნამ დასხმული,
 გულს შთასახული
 მოგვიახლოვე.

—
 გვეყოფა ქროლვა,
 შიში და თრთოლვა,
 გმინვა და ძრწოლვა,
 სულის წღაფარი.
 ოჰ, ეს ზამთარი,
 ცივი, აფთარი,
 ღმერთო, სად არი
 თავშესაფარი!..

გ. თეძმისხვევლი.

სცენა სცენაზე

ვინცა ერთი არტისტი გვესტუმრა, წარმოდგენები უნდა დავდგაო. ეიყოლია, აი ფშუტურე ახალ-გაზდები ჩემო ბატონო, და გადადიან მალაყებს ამ ჩვენს ტრიატში.
 აწი მერე, შამომიხთა, იი ვინცა არტისტია, თუ რაცაა ჯანაბაა, შენი ცოლი კესარია, უნდა მათხუოვა. გადვირიე კაცი. უთხარი: ურე-მა ხომ არაა, რომ გათხუო-თქვა. არაო, იმას უწინ ვიცნობდი, სცენაზე კაი ტიპის მოცემა იცისო და დღეიდან რეპეტეცია უნდა დევიწყოვა. როგორია რეპეტეცია მეთქინ? იგი ქალი, რომ შობოდა, მისთანა რეპიტეცია არის. — მიმითითა ხელი წიგნში. შენ დალოცვილო, წიგნი რომ მცოდნოდა, ბორჩიკათ დამაყენებდენ და ჩემს ცოდნას რეპეტეციაში არ დავკარგავდი-თქვა. იმდენი გასაჭირი არ არისო, მიტხრა. კაი ბატონო, რომელ საათზე გინდა, რომ გამოუშო მეთქინ.



ვკითხე იმ ჩემს ამშენებელს: ქალო რეპარტეცია თუ გიქნია, ან არტი-ტობიე როისმე მეთქინ. როგორ არაო. მე იმაში გამოცთილი ვარ ბარიშნობაშიო. ჰო და ამ კაცმა შენი თავი მთხუა და უნდა წებვადე მეთქინ. გუუხარდა მარა, რა გუუხარდა ბატონო, თუ იცი, ერთი კიდევაც ჩამუუარა, მერე ჩამეხვია კისერშიდ და ერთიც მაკოცა. შენი ქირიმე, რომ ძველი დროი გამახსენო. ჰოდა, სალამოის რვა საათზე დაგიბარა მეთქინ. სიხარულით სადილი აღარ უჭამია.

მოუწია რვაი საათი თვარა, დეიწყო მზადება. გეიწკიპარტ-გამეიწკიპარტა, გეიჩისტ-გამეიჩისტა, წეი-ცხ-წემეიციხო ფერ-უმარილი. სულო ცოდვილო, ნათქვამია, შინაურ დვდე-ლსო შენდობა არ აქო, კი არ შემეხარბა! ვუთხარი, კესარიფ, მოდი ჩემთან ახლო დაჯედი მეთქინ. მარა თქვენ არ მოუკვტეთ ჩემს თავს, სიახლუეს არ წამიკარა. დეილუბე იქითო მითხრა. მე ქე დავრჩი პლეკვიე. კი ბატონო, წადი, მარა მალე მოდი, დიდ ხანს არ მაყურყუტებო, ვახშამი მინდა ხუმ იცი მეთქინ. რავარც მუათავეფო რეპეტეციასო, მითხრა, იმ მინუტში მუალო.

წვეიდა ჩემი ამშენებელი, მარა ვაი ამისთანა წასვლას! მოსვლა აღარ ღირსებია. ვიფიქრე, წავალ იმ ტრი-ატში, ერთს იმ უულაშო და უწვე-რო კაცს მოვბუყნი, მერე დავაფ-რინდები იმ ჩემს ამშენებელს კიკი-ნაში, ვათრევ და ვათრევ, სანამდი ტყავი არ გაძრობა მუხლებზე ჩემი მოტყუებიზა და ქე დოვებრუნდები სახში-თქვა. არც მისი სადილი მი-ნდა და არც მისი ვახშამი.

ავდექი და წვევდი. მივედი ჩემო ბატონო, მარა იქინე ბაიბული არ ისმოდა. ვიფიქრე, ხუმ არ დეიძინეს მეთქინ. შევადე ტრიატის კარები, შევიქიტინე შით ნელათ, არ შუუ-შალო ხელი რეპეტეციზე მეთქინ. ეგერ კუთხეში, აი, ჩემი ამშენებ-ლი აღმა დაწოლილიყო, გადიმტა-ვებია თვალები, გეშალა ფეხები,

აქედან კილო მიწოლოდა იი არტი-სტი. მე ვიფიქრე, ხელს არ შუუშლი, რეპიტეციას აკეთებენ მეთქინ. გამო-ვბრუნდი და წამევედი სახში

არ გასულა ერთი მინუთი და ქე მევიდა იი, ჩემი გამკეთებელიც. აბა, ვუთხარ, მომიყვი რა ქენი მეთქინ. მითხრა: ყოლიფერი რომ ცოდნო დეს კაცსო, მე მეტი არ მინახავსო. რა არ მიქნა, ენა და პირი ვერ იტყვისო. რეპეტეციზე კი მიყურე-ბია, მარა ამისთანა არ მინახავსო, პირდაპირ, რომ ვაგვიზა და ჩა-გიდვია მისი როლი, იმისთანა კაცი ყოფილაო. უთხარი, კუთხე-შიდ რომ იყავით, იგი რა როლი იყო მეთქინ. იგო, ჩემი როლი იყოვო. კი მარა ისთე უნდა იყო სულ უსიტყვოთ წალურსული მეთ-ქინ? უი, ბეჩა, იგი კილომ ცოტა იყოვო, ორი ფიგურა არის მაგარი, ისეთი მაგარიო, რომ ძან გუქირ-დება კაცსო. მარა, ძან კაი კი არის, უნდა გითხრა ჩემო ქმარო, მთელი გემო იმაში არისო. რაფერ არის, შენი ქირიმე, მითხარი რომ ვიცოდე თქვა?

მომიყვა. რაფერიო და ხან ფეხე-ბი უნდა გაშალოვო, ხან ხელები და ასთე ბოთომდის უნდა ჩაატარო-ვო. ფეხების გაშლა, თვალების გა-დამტავება, ნიშნავს ტრაგიკუნისო და ხელების კი—კომიკუნისო. თუ აგენი შეგეშალა და თუ ერთ ბეწვი შეგეცილდა, იი ფიგურა წამხთა-იაო.

შ. ტროფინაშვილი.

ტიმ. ბაპურიძეს

ოდეს მუხთალი, ბედი ტიალი სასტიკად დამსჯის, დამიწყებს გმობას და დაძძრწი ველად, ვით გარეწარი, ამაოდ ვეძებ სულის მშვიდობას.

როს შავ სიკვდილად მომეჩვენება, კაცთა სავანე — საიყარო ავი, მაშინ ვისწარაფვი შენსკენ გრძნობებით მსურს გადაგხვია ტანჯული მკლავი!

და თუ არ იყოს კაცთ მეგობრობა, ეამსა ტანჯვისას, შემოჩვეული, ვით ავიტანო, მაშინ ცხოვრება ჩემთვის სასტიკი, ჩემთვის წყეული?!

გ. ლეონიძე.

დროება

(ავტოსებურა)

გამოიცვალა დროება, ბუნებაც გამოცვლილია, ამასა კვირობს, რომელიც ადამიანის შვილია.

თებერვალშია ჩვენ ვნახეთ, ცისა ელვა და ქუხილი, ამ სურათისა მნახველსა, მომეცა გულის წუხილი.

აპრილში მთებზე თოვლი დეს, დაგვხურეს თეთრი ქუდები, მადი და ეხლა მათ ჰკითხეთ, სამართალი და სუდები!

ოპ ცხოვრებავ, რას მიშვრები, უსამართლოვ შავო ენავო, საითაც კი გავიარე ყველგან გავიგონე „ტანგო“.

ნეტავი თუ ამ სულელ ხალხს, როგორ უნდა მორჯულება?! კეთილ საქმეს ვინც დაიწყობს, საქმეს უნდა ასრულება!

მიშა.

ვიისსოლა თელავიდან

მკითხველო! თუ დღემდის თელავის კორესპონდენტი „დავიწყებუ-ლის“ გოდება, რომლის გოდებას-თანაც იერემიას გოდებაც კი უფე-რულია, გულს სევდით გივსებდა და მოსთქვამდა თელავის უმწეო მდგო-მარეობას და კულტურულს ჩამორ-ჩენას, დღეს იმის ნაღვლიან თვა-ლებსაც შეაშრება ცრემლი და მისი „გლოვის ზარიც“ თავზარ დამცემთ აღარ გაისმება დედამიწის უსაზღვრო სივრცეზე, რადგანაც მისმა ბედნიე-რმა თვალმა იხილა, რა გიგანტიური ნაბიჯი წარსდგა წინ, ამ ბოლო დროს თელავმა და მისი თვალის დას-ტება თელავის კულტურულ აღო-რძინებით.

დადგა გაზაფხული და თელავსაც დაჰბერა განახლების სიომ, გაიხსნა სხვა და სხვა გონების გამწვრთნელი და ზნეობის გამფაქიზებელი დაწესე-ბულებები: მოგვივიდა ცირკა, ეს ტაძარი კაცობრიობის გონებრივ და ზნეობრივ აღორძინებისა. პირველი დღე მისი გახსნისა დიდის-დიდებით

გაზაფხულის ჰანგზე!

გაზაფხული მოგვიფრინდა, ათას ფურად შეშობილია, აბიბინდა შთა და გელი, სტეფენს ბუღბუღა ენა ტკბილი: უვაფილების სურნელობამ გამოათრო არე-მარე, არცა ციფა, არცა ჭვინავს, ღამით შექს ჭეფენს ბადრი მთვარე!..

გადიფურჩქნა მინდორ-გელი სხივით ჭჭარკავს მზენათელი, გაღვიანა შთას ნარნარად გაზაფხულის წმინდა-ქსელთა!.. შე ავიდე სელში ჩანგი, სიმს ჩამოგვარ აფაფლერე, ბუნებასა ცაცოცხლებას გრძნობიარედ დაფაფლერე.

ნეტარებით ფოცნებობდა, სიმს ვაფლერდი სიამითა, მაგრამ გულს-კი მიბასრედა მოძმეთ გენესა მწარე ხმითა!.. თუმც სანდისხან ამ ჩემს გულშიც აფეთქდება სიხარული, მაგრამ მუისვე მაგონდება დაჩაგრული ხალხის გული.

და კვლავ ვგზნისა, ვგზნისა შიტომ, რომ სულია შესუ-
თული ..
ჩანეს არ ვაფლერ ტკბილსა ჭანგზე, აღარ მიძგერს მისთვის გული
თუ ჩაგრულს ერს გაზაფხული, შემოაღლის მწარე დარდებს,
მხოლოდ მაშინ სიმს ჩამოგვარავ და დაფაფლერ უცხა ჭანგებს.
3. ფრანგიშვილი.



მგონის ჩვენება.—სურათი ა. გოლციხა.

იდღესასწაულეს თავადმა ვახუშტის შვი-
ლმა და მისმა წრემ.

შემდეგ, ცირკის ბანოვანი მიწვე-
ვულ იქმნენ ვახუშტზე, რომელმაც მრავალი მარგალიტი სიტყვა დაი-
ხარჯა მათ სადიდებლად. შესდგა
წრე რომელმაც იკისრა, რომ სანამ
ეს ოლიმპიის ქალები დარჩებიან
თელავის ზღუდესა შინ უზრუნველ-
ჰყოს იგინი მატერიალურს და ზნე-
ობრივ კრიზისისაგან. წრეში შე-
დიან: გ. დავილოვი, დ. მარქაროვი,
ი. ვახუშტოვი, მარტინოვი, მ. ცის-
კაროვი, კ. ბახუტაშვილი, დ. სვი-
მონიშვილი, რ. რუსიევი, მ. სალა-
ვიოვი და სხვანი. დიდება და ჰა-
ტივი ხელოვნების დამფასებელთ!

ვინ სთქვა ჩვენი ღირსეულთა
დაფასება არ იცინა? ამბობენ ქა-
ლებსაც აზრად აქვთ მათს მგალითს
მიჰმაძმონო. როგორც ჩვენი უნიჭი-
ურისი მგონანი გ. ძამუკოვიც აცნო-
ბებდა მკითხველს, ამ ცოტა ხანში
გახსნიან თელავში „განწმენდის სა-
სახლეს“. მოვედით ცოდიღონო ამა
ქვეყნისანო და შეიმსუბუქეთ ცოდ-
ვანი თქვენი, რამეთუ ფერიანი, რომ-

მელნიცა დაემკვიდრებიან „სასახ-
ლესა“ ამისა განწმენდისასა, მადლი-
თა მათდამი მინიჭებულისათა, უცო-
დველ გყოფენ თქვენ.

საზაფხულო ბაღებში და რესტო-
რანებში უკვე სეზონი დაიწყო. დი-
დი მადლობის ღირსია ე. ჰაატა-
შვილი, რომელმაც უკეთ მოაწყო
ჩვენი კლუბის საქმეები. წინეთ თუ
კვირაში ერთხელ იყო „ლოტო“,
ებრა კვირაში ორჯელ არის და
კვირაობითაც სცეკვაფო საღამო,
რომელზედაც დღიური ჭირ-ფარმისა-
გან და ოჯახის მზრუნველობით მო-
ქანცულნი „არშიყობაში“ გულს
ართობენ. ჩვენი ბანოვანი კეკელუ-
ნი ცეკვაობაში ავარჯიშებენ პაწია
„ფეხებს“. ზოგიერთი „უფუნური“
ამის დიდ დანაშაულათ უთვლით
მათ. ნეტა რა გვეშველება, როდის
უნდა გავთავისუფლდეთ ამ დახავსე-
ბულ შეხედულობისაგან!

ღვთის მადლით ზოგიერთმა ქმრე-
ბმა კი შეგვებისავენ გადადგეს ნაბი-
ჯი. ისევე ნეტარებით შესცქერიან
თავიანთ კეკლუც ცოლებს, როცა
ისინი თავის გარშემო არშიყობის

ქსელებს აბამენ და იჭერენ ზოგი-
ერთ ბუზიყლაპია „კავალრებს“.
არსებობს „პროფესიანალური მო-
არშიყეთა“ წრეც, რომლის წევრთა
განსაკუთრებულ მოვალეობასაც შე-
ადგენს, არც ერთი მიმზიდველი ქა-
ლი არ გაუშვას, რომ იუბკის ზო-
ლოზე არ გამოვებას. მათვე მოვალე-
ობას შეადგენს ქალების გაცილ-გა-
მოცილება.

ქალაქ გარეთ, ცყეებში, მალე-
ლაობა ქალ-ვაჟისა ძალიან ვახში-
რდა. აღბად წმინდა ჰაერის ჩასა-
ყლააად... ჩვენ კურთხეულ თელავ-
შიაც კანტი-კუნტად გაჩნდნენ „ტან-
გოს“ ქალები. ერთი სიტყვით, გა-
მოვკეთდით. ღამის ჩვენც ხალხში
გავერიოთ!

შხამი.

ქუთაისის ამბავი

გამობრძანდა პეტრიკელა
გელეიშვილი გვართა,
მას, სიმართლე უნდა ვითხრათ,
სწორი არა ჰყავს ბართა.
მას კაკაბაძე გამოჰყვა
(თხელი კაცია ტანათა)

სტკვეს: „მოწმეთ ენდომინება, ან თავის დასაცავათა“.

ტრიბუნაზე რომ აბრძანდა, ბაგე გააღო მწყურალათა (კაკაბაძე მოახლოემ კი მის ახლო მოიკალათა).

მარგალიტები წარმოსთქვა მას ეამსა შინა მრავალთა, გახელებული მსმენელნი მას ყურს უგდებდა ძალათა.

უცეფ სურათი იცვალა და შეიქნა ჩოჩქოლია. შუაში კილამ გაქექყეს მარიამა და ოლია.

ისეთი სტვინვა შეიქნა აქ ძნელი მოსაყოლია; ვაშას მძახელიც გამოჩნდა — ალბად მომხრენიც ჰყოლია.

წამოღვა ვინმე „ფებუცა“ სიტყვა წარმოსთქვა ბროლია, „ღვარიანისტები“ გალანძლა ზურგს აუყენა ბოლია.

სტკვა: „მათი მასწავლებლები მათივე წინამძღოლია; ჯოგს ლექციაზე რა უნდა, მათი ადგილი მოლია“.

მიუგეს: „შტერი ყოფილხარ უსაქმო, მეტიჩარაო; ჩვენ დარბაზს სულაც არ დავთმობთ თვითონ დატოვეთ ჩქარაო“.

რაც ლანძღვთ ჩვენი დიდება, ნუ თუ ის აღარ კმარაო? ისიც გეყოფათ სიბრიყვეთ ხმა ჩაიკმინდეთ ჩქარაო“.

პოლიციელნიც მოვიდნენ თეატრმა დაიბარაო; მაგრამა მათმა ბრძანებამ ვერავინ დააწყნარაო.

„ფებუცას“ პროვოკაციამ ტყვილა არ ჩაიარაო; ახალგაზრდები ჩასწერეს, რაიც ნაყოფათ კმარაო.

ტყვეშელაშვილი აყვირდა: „ამას რას ვხედავთ ღღესაო?“ მას გეგეჰკოარი რომ ისმენს, იმისკენ გაიწვესაო.

ერთი მეორე გალანძღეს სიტყვებს ხარჯავენ ბევრსაო, რაები არ მოიგონეს „დანოსიც“ ახსენესაო.

ამასობაში ცხადდება:

ლექცია შეწყვიტესაო; აქ ხალხი კარში გამოდის კამათს იქ აგრძელებსაო.

მნახველი ამა ამბისა მას არ დაივიწყებსაო; მგონია პეტრე ქუთაისს აწ აღარ მოვიდესაო.

კლიაოზნი კაცი.

გმირი პეტრე

(ისტორიულ მამოხაღვა)

ჩვენ კურთხეულ დროს ყოველთვის საჭიროა საზოგადოებამ გაიცნოს ის დიდებული მოღვაწენი, რომელნიც ჩუმად მუშაობენ. ამ პიროვნების გაცნობა-კი ხალხისათვის მოვალენი არიან ჩვენი მემკვიდრენი და აი ეხლა მეც გადავწყვიტე „ისტორიკოსობას“ მივყო ხელი, რადგან მეტი პატივისცემის დამსახურება შეიძლება, ვიდრე დრამების და ესკიზების წერვით.

ვახსენოთ „ლახტის“ წვერი და შევუდგეთ სრულიად პირუთვნელ გამოკვლევას ერთ დიდებულ გვამისას, რომელიც აწ განისვენებს კახეთის რკინის გზაზე; იგი ეჩვენება საზოგადოებას ადამიანის სახით, მხოლოდ გული მისი გათახსირებულ არს.

1913 წ. სად. ჯულფაში სცხოვრობდა „დიდებული პეტრე“, რომელიც თავის ღღეში არა კადრულობდა ფოდრაჩიკ არუთინოვისგან აედო ქრთამი თვეში არა ნაკლები 150 მ. ამ ყოფაში იგი ყოველთვის, სცდილობდა, რომ სადგურზე არ ყოფილიყო „შინაურული წესით“ მუშაობა, რათა მოსამსახურეთა მდგომარეობა არ გაუმჯობესებულიყო და ამითი გულის სიგანივრე არ მოსვლოდათ, მხოლოდ თვითონ როგორც „უფროსი“, დიდი მოხარული იყო ამ თავის გულკეთილობისთვის, რომ მან რამდენიმე „ხალიჩა უძღვნა“. მოსამსახურენი დიდხანს დუმდნენ და ვერა გაებდათ რა, რადგან იცოდნენ, რომ მათ ნალაპარაკვეს „უფროსი“ ბატონი ერთი ენა-გძელა ყმაწვილის წყალობით

გაიგებდა; მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს და ერთ მშვენიერ დღეს მოსამსახურეთა „ფილამ იფეთქა“, მაგრამ პეტრე, როგორც „გმირი ქრთამისა“, მაგრა დაჰხვდა და ერთი წყება მოსამსახურენი გააძევა.

დაღვა 1914 წ. და რალაც მანქანებით „გმირმა პეტრემ“ კახეთის რკ. გზაზე ამოჰყო თავი, სადაც წაიძლოლა თავისი ხელქვეითი „ენა გძელა ყმაწვილი“ და სად. ჯულფაზე ყოფილი უბრალო მოსამსახურე იქ „უფროს კაცათ“ დანიშნა. დიდება და ხსენება ამ გვამს, რათა მიენიჭოს მას „ლახტის“ წვერი დასველებული, რომ ტკბილი სიამოვნება იგრძნოს.

ვან-სანიძე.

უკუკლები

(საჩხუბრალუბრისათვის)

სიკინძალას.

მე რომ გითხრა დამიჯერე, მართალს გეტყვი სიკინძალა, პოეტობას ხელი უშვი არ დაგერქვას მეტიჩარა:

ვინ სამსონი, ვინ მწერალი, ვინ პოეტი სიკინძალა?! კლემენტოზი არ გაგაწყურეს გამოგავლოს პირში ჩალა.

არ გარგია მეტიჩრობა, სხვა ხელობა შემოიღე, გირჩევენია დამიჯერო, ყურში ბამბა გამოიღე.

ლონტის არშიყოზაზე შეგიძლია ბევრი სწერო, სხვაზე გირჩევ არ გაბედო და ზოგს კიდევ შეეფიქრო.

ვიმეორებ არ გარგია ჩემო კარგო სიკინძალა, რომ მწერლობდეს პოეტობდეს მე და შენებრ მეტიჩარა.

რუს-ნიმჩილს.

სალოამს გიძღვნი მართალ გგოსანს თქვენი გულით მადლიერი, და ვიკრძალვი თუ ამ რჩევით გავხდი თქვენთან კადნიერი.

ამას წინაღ წავიკითხე, კირილესგან ნაბოდვევი, თქვენ შესახებ ტალახს ისვრის სატანისა ნაბოძავი;

მეშინიან არ აჩქარდეთ და არ გახდეთ მისდა ტოლად, საპასუხოთ არ გამოჰყვეთ არ შეიქნეთ ჩასაქოლად.

არ შეშვენის რუს-იმერელს, ასეთ ვისმეს ებაასოს, ცოდრა არის თქვენმა მუზამ კირილესთვის მოიცალოს.

დამიჯერეთ, სხვეფრ გვკვირდება მადლიანი თქვენი ხელი, გასვრილ ჯოხით არ გასვაროთ კურთხეული ეგ მარჯვენი.

არბვეთღვს.

სიზმრათ ვნახე, რომ ეშმაკი ხელში „ლახტი“ მოწოწვედა, სანდროს კარზე რომ მივიდა სამკითხველოს გადახედა.

შეებრალა საცოდავი, და ცრემლები გადმოღვარა, ხელში ლახტი მოიმარჯვა ერთი მხრისკენ გადიხარა.

გამეღვიძა, შემეშინდა გულს მომაწვა სევდა მწველი, ცხადათ არ ახდეს სიზმარი, არ ვიგემოთ ლახტის წვერი, სეფესხეული.

დ ე კ ე შ ა

ს. ნიგოზი. მამასახლისმა ივლიანე ფორცხალიაშვილმა, რაც შეიძლებოდა გააკეთა გზები ისე, რომ მოსალოდნელია ივლისში მუხტებს ზევით აღარ ჩავიფლათ ტალახში.

ლანჩუთი. მოკლე დროში სამკითხველოს მიეცემა საჩუქარი, რადგანაც ერთ და იმავე მიმართულების გახეთებს იწერენ.

ჩიბათი. ბანკში ვირთხებმა ძველი თამასუქები სულ დახრეს, ამიტომ ზოგიერთმა პირებმა ფულის გადახდაზე უარი სთქვეს.

ზემო ჩიბათის სამკითხველო კარგად მოეწყო; შიგ გაზეთისა და წიგნების მაგიერ სიმინდი და მარილი ჰყრია და მკითხველების მაგიერ, კულ წამოტარხინებული თავგები თარეშობენ. მადლობის ღირსი არიან აქაურები ასეთი სამკითხველოს მოწყობისათვის.

აქ მოკლე დროში ხალამპრე ჯორბენაძის თაოსნობით მოხდება ძმა

ბიჭების კრება ილუმა ქანტურიას გასათეთრებლად. თა—რა.

ჭუთაისი. ქუთაისის ქალაქის თავს ილია ჩიქოვანს დაუწერია ორგინალური პიესა „სიბნელე“, რომელშიაც გამოხატულია ქუთაისის მცხოვრებლების ტრაგედია; ტრამვაის, ელექტრონული განათების და კანალიზაციის უქონლობის გამო.

პიესა ამ მოკლე დროში დაიდგმება ქალაქის თეატრში. მონაწილეობას მიიღებენ მთელი „უბრავის“ ჩილენები. ობერ-რეჟისორობა მინდობილი აქვს სიმონ ქვარიანს. რეჰეციები ყოველ დღე იმართება „უბრავაში“.

ხაშუჩი. დრამატული წრე თავისივე გამგეობით უკვალოდ დაიკარგა. მათ მოსაძებნათ ფიცხელი ზომებია მიღებული, ცნობილი სიზმრის ავტორი „კუდრაქას“ მეთაურობით. ხაშურელები ცხარე ცრემლებსა ღვრიან: რა საქმის გამგეობა დაგვეკარგა, ახლა ვილა დავვიდგამს იმათსავით ძვირფას წარმოდგენებსა.

გიმნაზიის ინსპექტორს განუზრახავს მომავალ წლიდან (თუ იქამდის გიმნაზია უნივერსიტეტად არ გადააკეთეს) უფროს კლასის შევირდებს, კლასში სწავლის დროს გვერდში ტურფა ასულნი ამოუსვას, რადგანაც მოწაფენი ამათხე ძლიერ ბევრს ფიქრობენო. გიმნაზიელები ამ ამბავს აღტაცებაში მოუყვანია და უთხოვიათ ლამაზი გიმნაზიელი ქალები მოგვიყვანეთო.

ხარფუხი. აქ მოვლიან „არშიეთა“ ექსკურსიას. „კლუბის“ მამასახლისთა საბჭო ნიშნავს წარმოდგენასადაზოების „ტორგს“, რომლებიც უნდა გაიმართოს სახ. წარ. მმართ. წრის სახელით. ფოდრაჩიკებს, განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა, შეუძლიანთ მიჰმართონ ხარფუხის კლუბში „ქალარას“ დილის 1-დან ნაშუალამევის 8 საათ. არშიე ქალებს უპირატესობა მიეცემათ. ამას წინად პასუხისგებაში მიცემული ს. თითბერიძეს, სამედიატორო სასამართლომ სამუდამო კეტორლა სიკვდილით დასჯაზე შეუცვალა. ამის გამო სცენის-მოყვარე ქალმა ა—მ ვახშამი გამართა კლუბში. 1 იანვარს დაწყებული „ლექცია“ ჯერ არ დასრულებულა.

შ ა რ ა დ ა

ის არ იფიქროთ შარადა, რომ გამოვსქედო გრძელია, სულ შევამოკლებ რაც არის, ნუ წამიწყდება ყელია!

ფარაონისგან ურიებს ვინც ჰყავდათ გამომხსნელია, იმის სახელი გვკვირია, თუ არ გაგიხდათ ძნელია!?

სად რომ გაიგოთ ბოლოზე მოჰგლიჯეთ ასო ე-ნია და გადისროლეთ შორისკენ, რადგან არ არის თქვენია.

არვინ მოგბაროთ, რაც დაგრჩათ, თავს დააყენეთ მცველია; ხომ იცით რამდენი არის უზრდელი, ქკუა თხელია?!

გაზაფხულის ხანს იღვიძებს ბალახი ჩირგვის ძირშია, რომელსაც ყვავილს სტაცებენ სასუნებელათ ცხვირშია.

ვინაც გაიგეთ რა არის, შუა ვაჰყავით ძმურათა; მეორე თქვენთვის გადასდეთ, პირველი ნუ გსურთ ნურათა.

ეს მის ბოლოზე მიაბით, რომელიცა გაქვსთ ზევითა; არ მოგეწყინოთ და დავყვეთ ლილინით ისევ ქვევითა.

ეხლა მოსძებნეთ ის კაცო, რომელსაც სესხი სჭირია; მაგრამ ფულების კა არა — სიმინდის, რომა ძვირია!

ვერ უშოვია საცოდავს, თუმც ბევრი დანაპირია; ატირებულა ოჯახი, რაიც რომ სოფლად ხშირია...

აბა, მომყევით, შევცვალოთ მეორე სიტყვით სესხია; მაგრამ გაფრთხილებთ სიჩქარით არ მოიტეხოთ ფეხია!

აიღეთ ნანახს მიჰმატეთ უმეტეაკლებოთ, სწორათა და, რაც მიიღოთ, დანიშნეთ მისავე ჟრედაქტორათა.

ეს ყველამ ვიცით, რომ შარშან სიმინდი იყო ცუდია; ამის წყალობით სიმშილსა გვერდზე ახურავს ქუდია. და გვემუქრება: გაგვლმტავ სულ სათითაოთ ყველასა;

მეშინიან არ აჩქარდეთ და არ გახდეთ მისდა ტოლად, საპასუხოთ არ გამოჰყვეთ არ შეიქნეთ ჩასაქოლად.

არ შეშვენის რუს-იმერელს, ასეთ ვისმეს ებაასოს, ცოდრა არის თქვენმა მუხამ კირილესთვის მოიცალოს.

დამიჯერეთ, სხვეფრ გვკვირდება მადლიანი თქვენი ხელი, გასვრილ ჯოხით არ გასვაროთ კურთხეული ეგ მარჯვენი.

არგვეთლევს.

სიზმრათ ვნახე, რომ ეშმაკი ხელში „ლახტით“ მოწოწვედა, სანდროს კარზე რომ მივიდა სამკითხველოს გადახედა.

შეებრალა საცოდავი, და ცრემლები გადმოღვარა, ხელში ლახტი მოიმარჯვა ერთი მხრისკენ გადიხარა.

გამეღვიძა, შემეშინდა გულს მომაწვა სევდა მწველი, ცხადათ არ ახდეს სიზმარი, არ ვიგემოთ ლახტის წვერი, სეფესხეული.

დ ე კ ე შ ა

ს. ნიგოზიტი. მამასახლისმა ივლიანე ფირცხალაიშვილმა, რაც შეიძლება გადაკეთა გზები ისე, რომ მოსალოდნელია ივლისში მუხლებს ზევით აღარ ჩავიფლათ ტალახში.

ლანჩხუთი. მოკლე დროში სამკითხველოს მიეცემა საჩუქარი, რადგანაც ერთ და იმავე მიმართულების გაზეთებს იწერენ.

ჩიბათი. ბანკში ვირობებმა ძველი თამასუქები სულ დახრეს, ამიტომ ზოგიერთმა პირებმა ფულის გადახდაზე უარი სთქვეს.

ზემო ჩიბათის სამკითხველო კარგად მოეწყო; შიგ გაზეთისა და წიგნების მაგიერ სიმინდი და მარლი ჰყრია და მკითხველების მაგიერ, კუდ წამოტარებინებული თავგები თარეშობენ. მადლობის ღირსი არიან აქაურები ასეთი სამკითხველოს მოწყობისათვის.

აქ მოკლე დროში ხალამპრე ჯორბენაძის თაოსნობით მოხდება ძმა

ბიჭების კრება ილოუმა ჰანტურისას გასათეთრებლად. თა—რა.

ქუთაისი. ქუთაისის ქალაქის თავს ილია ჩიქოვანს დაუწერია ორგინალური პიესა „სიბნელე“, რომელშიაც გამოხატულია ქუთაისის მცხოვრებლების ტრაგედია; ტრამვაის, ელექტრონული განათების და კანალიზაციის უქონლობის გამო.

პიესა ამ მოკლე დროში დაიდგმება ქალაქის თეატრში. მონაწილეობას მიიღებენ მთელი „უბრავეის“ ჩილენები. ობერ-რეჟისორობა მინდობილი აქვს სიმონ ქვარიანს. რეჟეტივები ყოველ დღე იმართება „უბრავეაში“.

ხაშუნი. დრამატიული წრე თავისივე გამგეობით უკვალოდ დაიკარგა. მათ მოსაძებნათ ფიცხელი ზომებია მიღებული, ცნობილი სიზმრის ავტორი „კუდრაქას“ მეთაურობით. ხაშურელები ცხარე ცრემლებსა ღვრიან: რა საქმის გამგეობა დაგვეკარგა, ახლა ვილა დავიდგამს იმათსავეთ ძვირფას წარმოდგენებსა.

გიმნაზიის ინსპექტორს განუზრახავს მომავალ წლიდან (თუ იქამდის გიმნაზია უნივერსიტეტად არ გადააკეთეს) უფროს კლასის შევირდებს, კლასში სწავლის დროს გვერდში ტურფა ასულნი ამოუსვას, რადგანაც მოწაფენი ამათზე ძლიერ ბევრს ფიქრობენო. გიმნაზიელები ამ ამბავს აღტაცებაში მოუყვანია და უთხოვიათ ლამაზი გიმნაზიელი ქალები მოგვიყვანეთო. ახლ.

ხარფუხი. აქ მოელოიან „არშიყთა“ ექსკურსიას. „კლუბის“ მამასახლისთა საბჭო ნიშნავს წარმოდგენასაღაროების „ტორგს“, რომლებიც უნდა გაიმართოს სახ. წარ. მმართველის სახელით. ფოდრაჩიკებს, განუჩეველად ეროვნებისა და სქესისა, შეუძლიანთ მიჰმართონ ხარფუხის კლუბში „ქაღარას“ დილის 1-დან ნაშუალამევის 8 საათ. არშიყ ქალებს უპირატესობა მიეცემათ. ამას წინად პასუხისგებაში მიცემული ს. თითბერიძეს, სამედიატორო სასამართლომ საშუალო კეტორლა სიკვდილით დასჯაზე შეუცვალა. ამის გამო სცენის-მოყვარე ქალმა ა—მ ვახშამი გამართა კლუბში. 1 იანვარს დაწყებული „ლექცია“ ჯერ არ დასრულდებულა. დაუღ-ზეგ.

შ ა რ ა ღ ა

ის არ იფიქროთ შარადა, რომ გამოვსქედლო გრძელია, სულ შევამოკლებ რაც არის, ნუ წამიწყდება ყელია!

ფარაონისგან ურიებს ვინც ჰყავდათ გამომხსნელია, იმის სახელი გვკვირია, თუ არ გაგიხდათ ძნელია?

სად რომ გაიგოთ ბოლოზე მოჰგლიჯეთ ასო ე-ნია და გადისროლეთ შორისკენ, რადგან არ არის თქვენი.

არვინ მოგპაროთ, რაც დაგრჩათ, თავს დააყენეთ მკველია; ხომ იცით რამდენი არის უზრდელი, ქკუა თხელია?!

გაზაფხულის ხანს იღვიძებს ბალახი ჩირგვის ძირშია, რომელსაც ყვავილს სტაცებენ სასუნებელათ ცხვირშია.

ვინაც გაიგეთ რა არის, შუა გაჰყავით ძმურათა; მეორე თქვენთვის გადასდეთ, პირველი ნუ გსურთ ნურათა.

ეს მის ბოლოზე მიაბით, რომელიცა გაქვს ზევითა; არ მოგეწყინოთ და დავყვეთ ლილინით ისევ ქვევითა.

ეხლა მოსძებნეთ ის კაცო, რომელსაც სესხი სჭირია; მაგრამ ფულების კა არა — სიმინდის, რომა ძვირია!

ვერ უშოვია საცოდავს, თუმც ბევრი დანაპირია; ატირებულა ოჯახი, რაიც რომ სოფლად ხშირია...

აბა, მომყევით, შევცვალათ მეორე სიტყვით სესხია; მაგრამ გაფრთხილებთ სიჩქარით არ მოიტეხოთ ფეხია!

აიღეთ ნანახს მიჰმატეთ უმეტნაკლებოთ, სწორათა და, რაც მიიღოთ, დანიშნეთ მისავე „რედაქტორათა“.

ეს ყველამ ვიცით, რომ შარშან სიმინდი იყო ცუდია; ამის წყალობით სიმშილსა გვერდზე ახურავს ქულია.

და გვემუქრება: გაგჟლეტავ სულ სათითაოთ ყველასა;